



"ვამტკიცებ"  
საქართველოს ძალოსნობის ეროვნული  
ფედერაციის გენერალური მდივანი

რ.მურადაშვილი  
"17" ნოემბერი 2020წ



### შეჯიბრის დებულება

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის - კანი კანიაშვილის სახელობის  
25-ე საიუბილეო შეჯიბრი ძალოსნობაში  
„კანის თასი 2020“

### შეჯიბრების მიზანი და ამოცანა

- ძალოსნობის პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოში
  - პერსპექტიული ძალოსნების გამოვლენა

### შეჯიბრების ადგილი და თარიღი

- შეჯიბრება გაიმართება 27 დეკემბერს, დუშეთში
  - ვერიფიკაცია 24 დეკემბერს 20:00 საათზე

### შეჯიბრებაში დაშვების წესები

- **კანის თასზე** დაიშვებიან როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე სპორტსმენები პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე.
- შეჯიბრება ჩატარდება ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ქულის დათვლის სისტემის მიხედვით (სინკლერი).
- ტურნირზე ორი ნაკრების (ეროვნული და „მეორე ნაკრები“) წარდგენა ევალუა ეროვნული ნაკრების უფროსს მწვრთნელს.
- ტურნირის მონაწილე სპორტსმენი ჩათვლით ქულებს მისცემს თავის ქალაქს/რეგიონს **საქართველოს თასის** გათამაშებაში იმ შემთხვევაში თუ იქნება წინასწარ განაცხადში.

### გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოება

- სინკლერის სპეციალური ცხრილით გამოვლენილ 6 (ექვსი) საუკეთესო ძალოსანს გადაეცემა შესაბამისი ფულადი ჯილდო, თასი და სიგელი. გამოვლენა/დაჯილდოება 27 დეკემბერს.

### ფინანსური მდგომარეობა

- ძალოსნობის ფედერაცია გაიღებს მსაჯების სასტუმროს, ანაზღაურების და გამარჯვებული სპორტსმენების დასაჯილდოებელ ხარჯებს.
- სპორტსმენების მგზავრობის, სასტუმროს და კვების ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია.

**\*P.S. COVID-19 პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ღონისძიება ჩატარდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ყველა შესაბამისი უწყების რეგულაციების დაცვით.**